



სსიპ
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

თბილისი



23/07/2018

4-07-4-201807231735

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 4 - პ

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის
2018 წლის პროგრამების დამტკიცების თაობაზე N1-პ
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პროგრამების დამტკიცების თაობაზე 18/01/2018 წლის N1-პ ბრძანებაში;
2. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პროგრამა „მომავლის ბანაკის“ მიზნები და ხარჯთაღრიცხვა განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების დანართით (დანართი N3/1);
3. ბრძანების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი;
4. დაევალოს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, წინამდებარე ბრძანების უფლებამოსილი პირებისა და სამსახურებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
5. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიგა გაბელაია

ცენტრის უფროსი

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები

პროგრამა „მომავლის ბანაკი“



სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

2018 წელი

1. პროგრამა „მომავლის ბანაკი“

პროგრამული კოდი:	32 08 03
ბიუჯეტი:	2 372 000
განხორციელების პერიოდი:	01.01.2018 - 31.12.2018 წწ.
განახორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია:	სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

პროგრამა „მომავლის ბანაკის“ მიზნები:

- ბანაკში არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიის დანერგვის უზრუნველყოფა შესაბამისი მოდულებისა და პროგრამების შემუშავების გზით;
- მონაწილეთათვის რეკრეაციული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, სპორტული და კულტურული გარემოს შექმნა;
- დანაშაულის პრევენციის სხვადასხვა დონეზე ჩართული ბავშვების სოციალიზაციის ხელშეწყობა;
- საქართველოსა და საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საერთო კულტურული და ინფორმაციული პლატფორმის შექმნა მულტიკულტურული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა;
- მონაწილეთა შორის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა;
- პრაქტიკულ-ლაბორატორიული პროექტების განხორციელების გზით კვლევითი უნარებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება;
- სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა
- ახალგაზრდებში ეროვნული და პატრიოტული ღირებულებების გადრმავეების ხელშეწყობა.

„მომავლის ბანაკი“ პროგრამული ამოცანების განსახორციელებლად:

- ახორციელებს ეფექტურ საგანმანათლებლო-შემეცნებით ტრენინგ-მოდულებს;
- აუმჯობესებს მონაწილეების პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს ევროკავშირის 8-დან 6 მუდმივ კომპეტენციაში;
- მხარს უჭერს ახალგაზრდული ინიციატივებს;
- უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად 11-29 წლის ახალგაზრდების ჩართვას რეკრეაციულ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში;
- ხელს უწყობს საბანაკე აქტივობებში სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, მრავალშვილიანი ოჯახისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი მოზარდების ჩართვას;
- ხელს უწყობს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების თანატოლებთან ინტეგრაციას;
- უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინტეგრაციას;
- ხელს უწყობს მოსწავლეებში სამთო-სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციას;
- უზრუნველყოფს მოსწავლეების ფართო წრის მოზიდვას სახანძრო-სამაშველო საქმიანობის შესასწავლად, საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების პროპაგანდის გზით;
- ხელს უწყობს კატასტროფის რისკის შემცირებას და სამაშველო-სახანძრო საქმიანობის მთავარი, საბაზისო ელემენტების დანერგვას;
- უზრუნველყოფს საერთაშორისო პროფილურ ბანაკებში ქართველი მონაწილეების ჩართვას;
- ხელს უწყობს ბანაკის მონაწილეების შემოქმედებითი უარების განვითარებას, შესაბამისი გარემოს შექმნის გზით;
- ხელს უწყობს მოსწავლეებში მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიის, მათემატიკის, რობოტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების (უპილოტო საფრენი აპარატების (დრონების), ვირტუალური რეალობა და ა.შ.) პოპულარიზაციას;
- ხელს უწყობს სტუდენტების ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას, აღნიშნულ პროფესიულ კომპეტენციაში მათი კარიერული ზრდის მიზნით;
- უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას ლიდერის პოზიციაზე სხვადასხვა ბანაკებში.
- საბანაკე სეზონის განმავლობაში ბანაკში დასაქმდება 200-მდე ახალგაზრდა.

- ხელს უწყობს ახალგაზრდებში ეროვნული, სამხედრო და პატრიოტული ღირებულებების გადრმავებას საქართველოს შეიარაღებული ძალების პრეზენტაციისა და შეიარაღების გამოფენის განხორციელების გზით.

პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. „მომავლის ბანაკი“ ანაკლიაში;
2. „მომავლის ბანაკი“ შაორში;
3. „მომავლის ბანაკი“ ცხვარიჭამიაში;
4. „სამთო-სათხილამურო სპორტული ბანაკი“ დაბა ბაკურიანში;
5. „სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკი“ მანავში;
6. „რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკი“ ქუთაისში
7. „ნორჩ მაშველთა კლუბი“.
8. „თავგადასავალი 2018“.
9. „ახალგაზრდული ინიციატივები 2018“

1. „მომავლის ბანაკი“ ანაკლიაში

განხორციელების ადგილი: ანაკლია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

სამიზნე ჯგუფი: 14-18 წლის საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები.

აღწერილობა:

პროგრამა „მომავლის ბანაკი“ ანაკლიაში არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით ხორციელდება და მოიცავს შემეცნებით, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ აქტივობებს. საბანაკე პროგრამა 7 თემატური დღისგან შედგება და აქტივობები დაგეგმილია ბენეფიციართა ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად.

პირველი საბანაკე დღე მთლიანად ეთმობა გუნდების გაცნობისა და დამეგობრების აქტივობებს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია სხვადასხვა თემის წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და შემდგომი საბანაკე აქტივობების/ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

საბანაკე პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს საშუალება აქვთ ჩაერთონ სპორტულ ოლიმპიადაში, რომელიც მოიცავს სპორტის რამდენიმე სახეობას: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი.

ბანაკის თემატური დღეები დატვირთულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით, როგორებიც არის ბანაკის მონაწილეების მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, გუნდების მიერ მომზადებული კოსტიუმირებული წარმოდგენა, სხვადასხვა საბანაკე თამაშები და ა.შ.

მონაწილეები დღის პირველ ნახევარში ესწრებიან ტრენინგებს/საინფორმაციო შეხვედრებს (ეკოლოგია, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გენდერი, თავდაცვა და უსაფრთხოება და ა.შ.), რომლებიც შეესაბამება ბანაკის ბენეფიციართა ასაკობრივ კატეგორიას. მნიშვნელოვანია, რომ ყველა აქტივობის მომზადების პროცესში, ლიდერებთან ერთად სრულად არიან ჩართული ბანაკის მონაწილეები.

ბანაკში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ყველა რეგიონიდან, საჯარო სკოლის მაღალი აკადემიური მოსწრების (წარჩინებული) მქონე 14-18 წლის მოსწავლეებს (სკოლიდან ერთი ძირითადი და/ან ერთი სარეზერვო მონაწილე). სკოლაში რამდენიმე წარჩინებული მოსწავლის შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული და მრავალშვილიანი ოჯახების, გამყოფი ხაზის სიახლოვესა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ, მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაებსა და კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს.

ერთი ნაკადის განმავლობაში, საბანაკე ბაზაზე ერთდროულად შესაძლებელია 288 ბენეფიციარის მიღება და საბანაკე აქტივობებში ჩართვა. მონაწილეები ნაწილდებიან 12 გუნდად (ერთ გუნდში 24 მონაწილე) და განაწილების დროს დაცულია სქესთა ბალანსი. თითო გუნდს ჰყავს 2 ლიდერი (გოგონა და ვაჟი), რომლებიც მთელი ნაკადის განმავლობაში ინტენსიურად არიან ჩართული საბანაკე პროგრამის განხორციელების პროცესში.

2. „მომავლის ბანაკი“ შაორში

განხორციელების ადგილი: შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

სამიზნე ჯგუფი: 18-25 წლის ახალგაზრდები.

აღწერილობა:

პროგრამა „მომავლის ბანაკი“ შორში არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით ხორციელდება და მოიცავს შემეცნებით, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ აქტივობებს. საბანაკე პროგრამა 5 თემატური დღისგან შედგება და აქტივობები დაგეგმილია ბენეფიციართა ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად.

პირველი საბანაკე დღე მთლიანად ეთმობა გუნდების გაცნობისა და დამეგობრების აქტივობებს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია სხვადასხვა თემის წარმომადგენელი ახალგაზრდების ერთმანეთთან ინტეგრაციისა და შემდგომი საბანაკე აქტივობების/ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

დღის პირველ ნახევარში, მონაწილეები ესწრებიან ტრენინგებს/საინფორმაციო შეხვედრებს, რომლებიც შეესაბამება მათ ინტერესებსა და საჭიროებებს.

საბანაკე პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს საშუალება აქვთ ჩაერთონ ტურნირში, რომელიც მოიცავს სპორტის რამდენიმე სახეობას: ფეხბურთი, ფრენბურთი, დოჯბოლი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი.

ბანაკის თემატური დღეები დატვირთულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით, ყველა აქტივობის მომზადების პროცესში, ლიდერებთან ერთად სრულად არიან ჩართული ბანაკის მონაწილეები.

ერთი ნაკადის განმავლობაში, ბანაკში დაისვენებს 132 მონაწილე, რომლებიც გადანაწილებიან გუნდებად (ერთ გუნდში 22 მონაწილე). განაწილების დროს დაცულია სქესთა ბალანსი. თითო გუნდს ჰყავს 2 ლიდერი (გოგონა და ვაჟი), რომლებიც მთელი ნაკადის განმავლობაში ინტენსიურად არიან ჩართული საბანაკე პროგრამის განხორციელების პროცესში.

3. „მომავლის ბანაკი“ ცხვარიჭამიაში

განხორციელების ადგილი: ცხვარიჭამია, მცხეთის მუნიციპალიტეტი

სამიზნე ჯგუფი: 14-18 წლის ახალგაზრდები.

აღწერილობა:

საბანაკე პროგრამის მეთოდოლოგია დაეფუძნება არაფორმალური განათლების პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

ბანაკის იდეა მდგომარეობს კულტურათაშორისი მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის ხელშეწყობასა და ევროკავშირის ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. მონაწილეები ასევე გაეცნობიან და განავითარებენ 6 ძირითად კომპეტენციას, რომლებსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისთვის ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში.

ბანაკი მონაწილეებს შესთავაზებს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ სესიებს ახალგაზრდული მუშაობის სხვადასხვა სფეროებში. პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ ახალგაზრდული აქტივობის პრაქტიკა. ბანაკის დასასრულს, მონაწილეები მოამზადებენ საპროექტო წინადადებებს თანატოლგანმანათლებლობის პრონციპების გათვალისწინებით, რომლებიც განხორციელებული იქნება მათ რეგიონში, ბანაკის შემდგომი აქტივობების სახით.

მონაწილეებისთვის დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული აქტივობები, მათ შორის: მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, სამაგიდე ჩოგბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, დარტსი, ფრისბი და ბადმინტონი. ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ივარჯიშონ და შეეჯიბრონ ერთმანეთს გუნდებში და ინდივიდუალურად.

საბანაკე ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია და ინკლუზიური პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

4. „სამთო-სათხილამურო სპორტული ბანაკი“ დაბა ბაკურიანში

განხორციელების ადგილი: დაბა ბაკურიანი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი

სამიზნე ჯგუფი: 11-14 წლის მოსწავლეები.

აღწერილობა:

„სამთო-სათხილამურო ბანაკი“ მოემსახურება მონაწილეებისათვის სამთო-სათხილამურო სრიალისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებას; სპორტული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენასა და მხარდაჭერას; ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ახალგაზრდებში;

ბანაკის მონაწილეები იქნებიან საქართველოს საჯარო სკოლების 11-14 წლის მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სპორტულ, ისე შემოქმედებით აქტივობებში.

ერთი ნაკადის განმავლობაში ბანაკში მონაწილეობას მიიღებს 400 მოსწავლე.

ბანაკი არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით ხორციელდება და მოიცავს სპორტულ, საგანმანათლებლო, შემეცნებით და კულტურულ ღონისძიებებს. საბანაკე პროგრამა 7 დღისგან შედგება და აქტივობები დაგეგმილია ბენეფიციართა ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად. დღის პირველი ნახევარი ეთმობა სათხილამურო სრიალს, ხოლო მეორე ნახევარი დატვირთულია სხვადასხვა საბანაკე თამაშებით.

5. „სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკი“ მანავში

განხორციელების ადგილი: მანავი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

სამიზნე ჯგუფი: 12-16 წლის მოსწავლეები

აღწერილობა:

„სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკის“ პროგრამა მოიცავს სპორტულ, შემეცნებით, საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებს. საბანაკე პროგრამა 7 დღისგან შედგება. დღის პირველი ნახევარი დაეთმობა სპორტულ ტურნირებს, ხოლო მეორე ნახევარი დატვირთული იქნება სხვადასხვა საბანაკე თამაშებით. პირველი საბანაკე დღე მთლიანად ეთმობა გუნდების გაცნობისა და დამეგობრების აქტივობებს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია სხვადასხვა თემის წარმომადგენელი მოზარდების ერთმანეთთან ინტეგრაციისა და შემდგომი საბანაკე ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

მონაწილეები იქნებიან საქართველოს მცირეკონტიგენტის საჯარო სკოლების 12-16 წლის მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სპორტულ, ისე შემოქმედებით აქტივობებში.

ერთი ნაკადის განმავლობაში, საბანაკე ბაზაზე ერთდროულად შესაძლებელია 132 ბენეფიციარის მიღება და საბანაკე აქტივობებში ჩართვა. მონაწილეები ნაწილდებიან 6 გუნდად (ერთ გუნდში 22 მონაწილე) და განაწილების დროს დაცულია სქესთა ბალანსი. თითო გუნდს ჰყავს 2 ლიდერი (გოგონა და ვაჟი), რომლებიც მთელი ნაკადის განმავლობაში ინტენსიურად არიან ჩართული საბანაკე პროგრამის განხორციელების პროცესში.

6. “რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკი” ქუთაისში

განხორციელების ადგილი: ქუთაისი

სამიზნე ჯგუფი: 13-18 წლის მოსწავლეები

აღწერილობა:

პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლეებში მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიის, მათემატიკის, რობოტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების (უპილოტო საფრენი აპარატების (დრონების), ვირტუალური რეალობა და ა.შ.) პოპულარიზაციას; მოიცავს სპორტულ, შემეცნებით, საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებს. საბანაკე პროგრამა 7 დღისგან შედგება. დღის პირველი ნახევარი დაეთმობა სპორტულ ტურნირებს, ხოლო მეორე ნახევარი დატვირთული იქნება სხვადასხვა საბანაკე თამაშებით. პირველი საბანაკე დღე მთლიანად ეთმობა გუნდების გაცნობისა და დამეგობრების აქტივობებს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია სხვადასხვა თემის წარმომადგენელი მოზარდების ერთმანეთთან ინტეგრაციისა და შემდგომი საბანაკე ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

მონაწილეები იქნებიან საქართველოს საჯარო სკოლების 13-18 წლის მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სპორტულ, ისე შემოქმედებით აქტივობებში.

ერთი ნაკადის განმავლობაში, საბანაკე ბაზაზე ერთდროულად შესაძლებელია 288 ბენეფიციარის მიღება და საბანაკე აქტივობებში ჩართვა. მონაწილეები ნაწილდებიან 12 გუნდად (ერთ გუნდში 24 მონაწილე) და განაწილების დროს დაცულია სქესთა ბალანსი. თითო გუნდს ჰყავს 2 ლიდერი (გოგონა და ვაჟი), რომლებიც მთელი ნაკადის განმავლობაში ინტენსიურად არიან ჩართული საბანაკე პროგრამის განხორციელების პროცესში.

7. „ნორჩ მაშველთა კლუბი“

განხორციელების ადგილი: საქართველო

სამიზნე ჯგუფი: 14-16 წლის მოსწავლეები.

პროექტის მონაწილეები შეირჩევიან ფიზიკური ნორმატივების საფუძველზე და პროექტის ფარგლებში გადიან ფიზიკურ მომზადებას სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბაზაზე. აქტივობები მოიცავს პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგებსა და სახანძრო-სამაშველო სპორტულ ვარჯიშებს.

გადამზადებული ბენეფიციარებიდან საუკეთესო 14 მოსწავლე მიემგზავრება აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად. ტურნირი ორი კომპონენტისგან შედგება და მოიცავს როგორც სპორტულ, ისე კულტურულ აქტივობებს.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს ბენეფიციარების კულტურული ღონისძიებებისთვის მომზადებას, ტურნირებში გამგზავრებას და სხვა საჭირო რესურსებით მხარდაჭერას.

8. “თავგადასავალი 2018“

განხორციელების ადგილი: ბოლნისი, ფოლადაური.

სამიზნე ჯგუფი: 8-25 წლის ახალგაზრდები.

აღწერილობა:

ბანაკი მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, მსოფლიო სკაუტური მეთოდის გამოყენებით. საბანაკე პროგრამა 6 დღისგან შედგება და საბანაკე პერიოდში თითოეული მონაწილე გაატარებს დროს ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში, მათ ექნებათ შესაძლებლობა აიმაღლონ ცნობიერება სხვადასხვა მიმართულებით.

პროგრამა არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიით ხორციელდება და მოიცავს შემეცნებით, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ აქტივობებს.

ბანაკის პროგრამით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, თითოეული აქტივობის განხორციელებისას გამოიყენება სკაუტური მეთოდი, რომელიც აპრობირებულია მსოფლიო მოძრაობის მიერ და არის უნიკალური. აქტივობები მოიცავს, როგორც პრაქტიკულ ისე თეორიულ ნაწილს. იგეგმება ისეთი ტრენინგების განხორციელება როგორცაა ლიდერობა, ჯგუფური მუშაობა, ინკლუზია, დისკრიმინაცია და ტოლერანტობა და ა.შ. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა სკაუტური აქტივობები: პიონერინგი, ორიენტირება, თვითგადარჩენა, ლაშქრობის დაგეგმვა და სხვა. მონაწილეები თეორიული ნაწილის გავლის შემდეგ, ბანაკის განმავლობაში ადგილზევე შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას.

ერთ ნაკადზე ბანაკში მონაწილეობას მიიღებს ერთდროულად 400 ბენეფიციარი.

9. „ახალგაზრდული ინიციატივები 2018“

განხორციელების ადგილი: საქართველოს ტერიტორია

სამიზნე ჯგუფი: 18-29 წლის ახალგაზრდები.

აღწერილობა:

საბანაკე პროგრამის მეთოდოლოგია დაეფუძნება არაფორმალური განათლების პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ბანაკის პროგრამა 5 დღისგან შედგება და თითოეული მათგანი მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო, ისე სპორტულ და კულტურულ აქტივობებს.

ბანაკის იდეა მდგომარეობს საქართველოში მცხოვრები 18-29 წლამდე ახალგაზრდების კომპეტენციების (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები, ღირებულებები) და ევროკავშირის ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. პროექტის მიზანია მონაწილეები ასევე გაეცნობიან და განავითარებენ 6 ძირითად კომპეტენციას, რომლებსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისთვის ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში.

ბანაკი მონაწილეებს შესთავაზებს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ სესიებს ახალგაზრდული მუშაობის სხვადასხვა სფეროებში. პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ ახალგაზრდული აქტივობის პრაქტიკა.

მონაწილეებისთვის დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული აქტივობები, მათ შორის: მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, სამაგიდე ჩოგბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, დარტსი, ფრისბი და ბადმინტონი. ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ივარჯიშონ და შეეჯიბრონ ერთმანეთს გუნდებში და ინდივიდუალურად.

პროგრამა „მომავლის ბანაკის“ მოსალოდნელი შედეგები:

- ანაკლიის „მომავლის ბანაკი“ უმასპინძლებს 2880 მოსწავლეს;
- შაორის „მომავლის ბანაკი“ უმასპინძლებს 1056 ახალგაზრდას;
- „სამთო-სათხილამურო სპორტული ბანაკი“ უმასპინძლებს 1200 მოსწავლეს;
- „სპორტულ-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკი“ მანავში უმასპინძლებს 1056 მოსწავლეს;
- „რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკი“ ქუთაისში უმასპინძლებს 1440 მოსწავლეს;
- „ნორჩ მაშველთა კლუბში“ ჩაერთვება 30 მონაწილე;
- „თავგადასავალი 2018“-ში ჩაერთვება 400 მონაწილე;
- „ახალგაზრდული ინიციატივები 2018“-ში ჩაერთვება 400 მონაწილე.

- შეიქმნება საერთო კულტურული და ინფორმაციული პლატფორმა, სადაც ბანაკის მონაწილეები გაიუმჯობესებენ სხვადასხვა სოციალურ უნარ-ჩვევებს, აიმაღლებენ სამოქალაქო ცნობიერებას;
- მონაწილეთათვის შეიქმნება რეკრეაციული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, სპორტული და კულტურული გარემო, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას;
- ბანაკში უზრუნველყოფილი იქნება ეთნიკური უმცირესობების, სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული და მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი მოზარდებისა და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ინტეგრაცია თანატოლებთან;
- შეიქმნება საერთო კულტურული და ინფორმაციული პლატფორმა, რომელიც მოემსახურება ბანაკის მონაწილეების სხვადასხვა სოციალური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, მათთვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას;
- ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას;
- ჩამოყალიბდება არაფორმალური სივრცე კულტურათაშორისი დიალოგისთვის;
- ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები განვითარდება 8-დან 6 მუდმივ კომპეტენციაში ევროკავშირის ღირებულებების კონტექსტში;
- მონაწილეები შეძლებენ სათხილამურო სრიალისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებას;
- მონაწილეები შეძლებენ საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას;
- მონაწილეები შეძლებენ სამაშველო-სახანძრო საქმიანობის მთავარი, საბაზისო ელემენტების გათავისებას.
- საბანაკე სეზონის განმავლობაში გადამზადდება და დასაქმდება 200-მდე ახალგაზრდა.
- გადრმავედება ახალგაზრდებში ეროვნული, სამხედრო და პატრიოტული ღირებულებები.